ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №14

დაბა ხულო 12.07.2011 წ.

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე – გივი ქედელიძე

კომისიის წევრები: გურამ დეკანაძე, გურამ ჩოგაძე,

ვაჟა ცეცხლაძე, ელდარ ბოლქვაძე

არ ესწრებოდა: წევრი ემზარ აბულაძე

დღის წესრიგი: ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხულოს მუნიციპალიტეტის არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-შენახვა-კეთილმოწყობის, სტიქიის შედეგად დაღუპულთა არსებული მემორიალის კეთილმოწყობის, დაწყებითი სკოლების მშენებლობა (ახალი უბანი, ზედა ბეღლეთი, ნადაბური, ჭერი–ელემენტარული), წაბლანის სკოლასთან დრენაჟის მოწყობის, კულტურის ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია–რემონტის, ყოფილი კომისარიატის შენობის რემონტის, გამგეობის შენობის გადახურვა და მიმდინარე რემონტის, საყრდენი კედლების მოწყობა (რუსთაველის ქ, სასამართლოს შენობასთან, ტბელის ქ, რუსთაველის შესახვევი), ტურისტულ ნაგებობებთან საპირფარეშოების მშენებლობის, გოდერძის უღელტეხილის კეთილმოწყობის, სახანძროს ეზოს კეთილმოწყობისა და დაბა ხულოში გარე განათების ახალი წერტილების მონტაჟის სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე სახელმწიფო შესყიდვისთვის გამოცხადებულ კონკურსში №116 მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის შერჩევა/შეფასება.

მომხსენებელი: ე. ბოლქვაძე

მომხსენებელმა აღნიშნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კონკურსში საკონკურსო განაცხადი წარმოადგინა ორმა პრეტენდენტმა.

1. ი.მ. „რამინ შავაძე“
2. შპს “ხობი 2005”

ორივე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს და და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის ბრძანების №3 „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ მე–6 მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნებს; კერძოდ:

ი/მ „რამინ შავაძის“ მიერ წარმოდგენილ საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
ბ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

შპს „ხობი 2005" მიერ წარმოდგენილ საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
ბ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან საკონკურსო განცხადების მე–6 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის ბრძანების №3 „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" მე–4 მუხლის მე–8 პუნქტის შესაბამისად კონკურსში მონაწილე პრეტენდენტები ექვემდებარებიან დისკვალიფიკაციას.

დაადგინეს:

1. ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ #116 კონკურსში მონაწილე პრეტენდენტი ი/მ „რამინ შავაძე" დისკვალიფიცირებულ იქნეს.

2. ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ #116 კონკურსში მონაწილე პრეტენდენტი შპს „ხობი 2005" დისკვალიფიცირებულ იქნეს.

3. ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ #116 კონკურსს მიეცეს სტატუსი "დასრულებულია უარყოფითი შედეგით"

4. საკონკურსო კომისიის წევრმა ელდერ ბოლქვაძემ უზრუნველყოს აღნიშნული შეტყობინებების გაგზავნა საკონკურსო განაცხადში პრეტენდენტის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე არაუგვიანეს 2011 წლის 12 ივლისისა.

კომისიის თავმჯდომარე: /გ. ქიდელიძე/

წევრები: /გ. ჩოგაძე/

/გ. დეკანაძე/

/ვ. ცეცხლაძე/

/ე. ბოლქვაძე/